სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრის ასოცირებული პროფესორის („ა“ კატეგორია) და ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ახალი ქართული ენის კათედრის ასოცირებული პროფესორის („გ“ კატეგორია) სამსახურში მისაღებად რექტორის 2025 წლის 20 ოქტომბრის N250/01-01 ბრძანების ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 10 ნოემბრის N79/2025 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

№ 4 ოქმი (შემაჯამებელი)

ქ. თბილისი „8“ დეკემბერი 2025 წ.

10:00 საათი, თსუ VIII კორპუსი, აუდიტორია № 226

სხდომას ესწრებოდა კომისიის 5-ვე წევრი:

ივანე ლეჟავა – თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);

გიული შაბაშვილი – თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);

მაია ლომია – თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი);

ზურაბ ბარათაშვილი – თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

ნანა ლოლაძე – თსუ-ს არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

დღის წესრიგი:

1. ა) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრის ასოცირებული პროფესორის („ა“ კატეგორია) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება;

   ბ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ახალი ქართული ენის კათედრის ასოცირებული პროფესორის („გ“ კატეგორია) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება;

2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, ივანე ლეჟავას ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების შეფასების ორივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და კენჭისყრის შედეგების შესახებ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპი და ფარული კენჭისყრის შედეგები.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე **თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრის ასოცირებული პროფესორის** („ა“ კატეგორია) საკონკურსო თანამდებობაზე საბუთები შემოიტანა 1-მა კანდიდატმა – თინათინ ბოლქვაძემ.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე **ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ახალი ქართული ენის კათედრის ასოცირებული პროფესორის** („გ“ კატეგორია) საკონკურსო თანამდებობაზე საბუთები შემოიტანა 1-მა კანდიდატმა – ნინო შარაშენიძემ.

საკონკურსო კომისიის მიმღები აპარატისგან კანონმდებლობით და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილი წესით წერილობითი დადასტურებით გადმობარებული დალუქული საკონკურსო დოკუმენტაციის (კერძოდ, ორი კონკურსანტის პაკეტების) გახსნის შემდეგ კომისიის წევრებმა დაწვრილებით შეისწავლეს ორივე კანდიდატის მიერ წარმოდგენილი საბუთები.

თინათინ ბოლქვაძემ შეფასების პირველ ეტაპზე (წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება) I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს“; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება.

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ ის უკვე მრავალი წელია ჩართულია საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსის განხორციელებაში. კარგად იცნობს ვაკანსიის პროფილს და ასახელებს საგნებს, რომლებიც თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პროგრამით და კურიკულუმით არის გათვალისწინებული და აქვს სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება. წარმოდგენილი სასწავლო კურსის სილაბუსები ფორმით და შინაარსით სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ.

კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება და სიახლეების შემოტანა ქართულ ენათმეცნიერებაში ხელს შეუწყობს თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის როგორც სამეცნიერო, ასევე პედაგოგიური მიმართულების განვითარებას.

აღსანიშნავია, რომ კონკურსანტი აქტიურადაა ჩართული კვალიფიკაციის ასამაღლებელ კონკურსებსა თუ ტრენინგებში. აქვეყნებს სტატიებს სხვადასხვა ქართულენოვან თუ უცხოურ ჟურნალებში, მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში და საგრანტო პროექტებში. კონკურსანტი თავადაც არის ავტორი არაერთი საერთაშორისო სკოლისა თუ კონფერენციისა. არის რამდენიმე მნიშვნელოვანი მონოგრაფიის ავტორი.

აქვს უცხოეთის ცენტრებთან ურთიერთობის გამოცდილება. არის რამდენიმე უცხოური უნივერსიტეტის მიწვეული ლექტორი და მკვლევარი და ასევე, უცხოური პროფესიული გაერთიანებებისა თუ ორგანიზაციების წევრი (ჰენრი სუიტის ლინგვისტურ იდეათა ისტორიის საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების წევრი, პოეტიკისა და ლინგვისტიკის საერთაშორისო აკადემიური ასოციაციის წევრი, გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოების წევრი, ენის შემსწავლელ მეცნიერებათა ისტორიის საერთაშორისო საზოგადოების წევრი, ცენტრალური ევრაზიის შემსწავლელი სამეცნიერო საზოგადოების წევრი (მასაჩუსეტი, აშშ), სლავური, აღმოსავლეთ ევროპისა და ევრაზიული კვლევების ასოციაციის წევრი (პიტსბურგი, პენსილვანია, აშშ) იუნესკოს ენათმეცნიერთა მუდმივმოქმედი კომიტეტის წევრი. კონკურსანტის სამეცნიერო დონე და კონტაქტები საზღვარგარეთელ კოლეგებთან ხელს შეუწყობს თსუ-ს საერთაშორისო რეიტინგის ამაღლებას.

წარმოდგენილ სამოტივაციო წერილში კონკურსანტმა კარგად გამოჰკვეთა საკონკურსო პროფილი და მსჯელობს, რა წვლილის შეტანა შეუძლია დარგის განვითარებაში. ხაზგასასმელია ისიც, რომ კონკურსანტი არის სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის წევრი და სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ბიულეტენის რედაქტორი, 2018 წლიდან მონაწილეობს ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა შემუშავებაში.

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, მეტყველების მანერა. კონურსანტმა ისაუბრა აგრეთვე სამომავლო გეგმებზე, კერძოდ სოციოლინგვისტურ პრობლემატიკაზე, რაც გამომდინარე საქართველოს ენობრივი მრავალფეროვნებიდან ითვალისწინებს ენობრივ პოლიტიკასა და ენობრივ დაგეგმვას. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ მას აქვს საკონკურსო პროფილის საფაკულტეტო და ზოგიერთი სხვა სასწავლო კურსის გაძღოლის რეალური საგნობრივი ცოდნა და გამოცდილება. აქვს სამეცნიერო-კვლევითი გეგმა, რომელიც შეესაბამება საუნივერსიტეტო საკონკურსო სასწავლო-სამეცნიერო პროფილს. არის ჩამოყალიბებული მეცნიერი თავისი აკადემიური ღირებულებებით. პრეტენდენტის

კანდიდატურა სრულად შეესაბამება გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებს (იხ. ოქმი № 2, №3).

ნინო შარაშენიძემ შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება.

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ კონკურსანტს აქვს მრავალწლიანი გამოცდილება საკონკურსო პროფილით გათვალისწინებული სასწავლო კურსის განხორციელებაში. კარგად იცნობს ვაკანსიის პროფილს და ასახელებს საგნებს, რომლებიც ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ახალი ქართული ენის კათედრის პროგრამით და კურიკულუმით არის გათვალისწინებული და აქვს სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება. აღსანიშნავია ისიც, რომ გარდა პედაგოგიური საქმიანობისა კონკურსანტი 2022 წლიდან არის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ექსპერტი ლინგვისტი, რაც მის პროფესიულ მაღალკვალიფიციურობაზე უსვამს ხაზს.

კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სილაბუსები მრავალი წელია აქტიურად მუშაობს ახალი ქართული ენის კათედრაზე, არის მრავალი სახელმძღვანელოსა თუ სალექციო კურსის ავტორი, რაც მიანიშნებს, რომ კონკურსანტი აქტიურად მუშაობს ახალი ქართული ენის კათედრის პროგრამის განვითარებაზე და შესაბამისად, მის მიერ განხორციელებული საქმიანობა ხელს შეუწყობს ინსტიტუტის როგორც სამეცნიერო, ასევე პედაგოგიური მიმართულების განვითარებას.

კონკურსანტი აქტიურად მონაწილეობს კვალიფიკაციის ასამაღლებელ კონკურსებსა თუ ტრენინგებში. გამოქვეყნებული აქვს სტატიები იმპაქტფაქტორის მქონე ჟურნალებში და ამასთანავე, არის რამდენიმე მონოგრაფიის ავტორი, წარადგენს მოხსენებებს საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში.

აქვს უცხოეთის ცენტრებთან ურთიერთობის გამოცდილება. ჩაატარა რამდენიმე ლექციების კურსი უცხოენოვან ინსტიტუტსა თუ უნივერსიტეტში (ვილნიუსის უნივერსიტეტი, უცხო ენათა ინსტიტუტი, ლიდზის უნივერსიტეტი, ხელოვნების, ჰუმანიტარიისა და კულტურის ფაკულტეტი, ენების, კულტურებისა და საზოგადოებების სკოლა). კონკურსანტის კავშირი უცხოეთის ცენტრებთან ხელს შეუწყობს ახალი ქართული ენის კათედრის საქმიანობის ინტეგრაციას და თანამშრომლობას უცხოელ კოლეგებთან თუ დაწესებულებებთან.

წარმოდგენილ სამოტივაციო წერილში კარგად გამოჰკვეთა საკონკურსო პროფილი და მსჯელობს, რა წვლილის შეტანა შეუძლია დარგის განვითარებაში. ხაზგასასმელია ისიც, რომ კონკურსანტი არის სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის წევრი, აქტიურად ატარებს ტრენინგებსა და უორქშოპებს.

კონკურსანტთან გასაუბრების დროსაც დადასტურდა, რომ აქვს სამეცნიერო-კვლევით გეგმა, რომელიც სრულიად შეესაბამება ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ახალი ქართული ენის კათედრის პროფილს.

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, მეტყველების მანერა. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ მას აქვს საკონკურსო პროფილის საფაკულტეტო სასწავლო კურსის გაძღოლის რეალური საგნობრივი ცოდნა და გამოცდილება. აქვს სამეცნიერო-კვლევითი გეგმა, რომელიც სრულიად შეესაბამება საუნივერსიტეტო საკონკურსო სასწავლო-სამეცნიერო პროფილს. პრეტენდენტის კანდიდატურა სრულად შეესაბამება გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებს (იხ. ოქმი № 2, №3).

კენჭი ეყარა:

ა) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრის ასოცირებული პროფესორის („ა“ კატეგორია) გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიამ ერთხმად (ხუთივე წევრმა) დაუჭირა მხარი **თინათინ ბოლქვაძის** კანდიდატურას.

ბ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ახალი ქართული ენის კათედრის ასოცირებული პროფესორის („გ“ კატეგორია) გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიამ ერთხმად (ხუთივე წევრმა) დაუჭირა მხარი **ნინო შარაშენიძის** კანდიდატურას.

დაადგინეს:

1. ა) სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე თეორიული და გამოყენებითი სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრის ასოცირებული პროფესორის („ა“ კატეგორია) 1 ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად ერთხმად (5-ვე წევრის მხარდაჭერით) გამოვლინდა **თინათინ ბოლქვაძე;**
2. ბ) სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ახალი ქართული ენის კათედრის ასოცირებული პროფესორის („გ“

კატეგორია) 1 ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად ერთხმად (5-ვე წევრის მხარდაჭერით) გამოვლინდა **ნინო შარაშენიძე;**

3. გადაეცეს კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის თავმჯდომარე: /ივანე ლეჟავა/

კომისიის მოადგილე: /გიული შაბაშვილი/

კომისიის მდივანი: /მაია ლომია/

კომისიის წევრები: /ზურაბ ბარათაშვილი/

/ნანა ლოლაძე/

8.12.2025